MES 1 23 0000855337

10/07/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 30 ივნისი 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე-პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გუგუნავა- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათიამ ჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე-პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ირაკლი სალუქვაძე
- ნანა შათირიშვილი
- შორენა ხუბუნაია
- ვახტანგ ბოგველიშვილი
- ია გელენიძე
- ელისო საბაური.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „მერმისი“
დირექტორი **-** ნონა ღუდუშაური
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნანა ნამგალაძე

შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინო"
დირექტორი - ნანული ზარიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - თინათინ ჭუმბაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიამ ქუჩულორია არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯ „მერმისისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, 2023 წლის 24 თებერვალს ჩატარდა საბჭოს სხდომა, სადაც ჩაინიშნა მონიტორინგი შპს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy - ში. ოქმში (ოქმი №0283228. 13/03/2023) მითითებული იყო, რომ „საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ჩაინიშნოს მონიტორინგი 1-ელ, მე-2 და მე-3 სტანდარტებში სრულად. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 21 აგვისტო.“ რაც საჭიროებს დაზუსტებას, რეალურად დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა და ჩანიშნვის საფუძველი იყო 1.2, 3.2, 4.1, 4.2 და 5.1 კომპონენტები, მონიტორინგის ვიზიტის თარიღად უნდა განისაზღვროს 2023 წლის 21 აგვისტო. ცენტრმა ითხოვა აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით დასტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მხედველობაში მიიღო აღნიშნული და განაცხადა თანხმობა.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ „მერმისისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი სალუქვაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2023 წლის 23 მაისს გამოცემული №584045 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა.) და ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება. დაწესებულება განაცხადში მიუთითებდა, რომ მოდულური/კოოპერაციული მიდგომით განსახორციელებელი პროგრამის პაკეტს დაამატა მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ და შესაბამისად, იზრდება პროგრამის კრედიტები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯ „მერმისის“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბა დამაზუსტებელი შეკითხვები ღიად დარჩენილი საკითხებისთვის, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა კოლეჯის ადმინისტრაციასთან. ექსპერტებმა 2023 წლის 30 მაისს განახორციელეს ვიზიტი დაწესებულებაში, გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს. ვიზუალურად დაათვალიერეს სასწავლო გარემო. ვიზიტის პერიოდში მოდულის - საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ექსპერტებმა მოინახულეს ორი პარტნიორი ორგანიზაცია შ.პ.ს. „სამი ჯგუფი“ (სასტუმრო ციტრუსი) და შ.პ.ს. „დაბი ჯგუფი ჯორჯია“ (სასტუმრო ბილტმორი), ასევე დისტანციურად გაესაუბრნენ შ.პ.ს. „ჯინო პარკს“, შ.პ.ს. „თავადურს“ და შ.პ.ს „ფიქრის გორას“ წარმომადგენლებს. თითოეულმა მათგანმა გამოთქვა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების სწავლების შესახებ. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს მიგნებები. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის და სწავლის შედეგების ცვლილების განაცხადი 2.1 და 2.2 კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულად შესაბამისად.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ შესახებ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობის დასაბუთება. განაცხადში აღნიშნულია, რომ „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამა კოლეჯის მიერ განხორციელებულ პროგრამებს შორის, შრომის ბაზრისა და მოსახლეობის მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია (ყოველწლიურად რეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვი 1 ადგილზე 10-დან 15-მდე მერყეობს), განსაკუთრებით მოდულური/კოოპერაციული ფორმით განხორციელებული პროგრამა. აღნიშნულის გადასამოწმებლად ექპერტებმა მოითხოვეს წინა მიღებების სტატისტიკა, რომლითაც დადასტურდა აღნიშნული გარემოება, კერძოდ: 2021 წელს გამოცხადებული იყო 19 ადგილი და რეგისტრირებული იყო 278 აპლიკანტი, ხოლო 2022 წელს გამოცხადებული იყო 64 ადგილი და რეგისტრირებული იყო 578 აპლიკანტი. აღნიშნული მაჩვენებლები მეტყველებს, რომ „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამაზე მოთხოვნა დიდია. , „კულინარიის ხელოვნების“ მოდულური/კოოპერაციული

ფორმით განხორციელებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო ორ ცვლაში 120 სტუდენტს“. ასევე, მოდულური/კოოპერაციული ფორმით განსახორციელებელი პროგრამისათვის გაიზარდა კრედიტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“ დაწესებულების ბაზასა და პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს 3 A გარემოს, ერთი B გარემოს და 5 – C გარემოს ტიპის აუდიტორია. თითოეული სასწავლო გარემო განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოში აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს განსაზღვრული ყავს 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 ზოგად მოდულებზე, ხოლო 16 სხვადასხვა დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „კულინარიის ხელოვნება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ როგორი იქნებოდა სტუდენტებისთვის დუალური ფორმით განსახორციელებელი პროგრამის კრედიტების მოცულობა, ვინაიდან მხოლოდ მოდულური/კოოპერაციული პროგრამის კრედიტები ჰქონდათ ამ ეტაპზე წარმოდგენილი და მითითებული.

ექსპერტის განცხადებით, დუალური პროგრამის კრედიტების ფარგლებში არანაირი ცვლილება არ ფიქსირდებოდა, შესაბამისად, კოლეჯი იყენებდა ძველ ვერსიას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, უქმნიდა თუ არა საფრთხეს სასწავლო პროცესს პრაქტიკის C გარემოში გამწოვის არქონა და რატომ იყო აღნიშნული განმავითარებელ რეკომენდაციად წარმოდგენილი და არა შესაბამისობის რეკომენდაციად.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ობიექტი მთლიანად იყო სამუშაო C გარემო, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ სასურველი იყო გაზქურის თავზე დაემონტაჟებინათ დამატებით გამწოვი. აღნიშნული გამწოვი უკვე დაყენებული იყო გრილის მოწყობილობის თავზე და დასაყენებელი იყო გაზქურის მხარესაც, რაც მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ასევე შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რით იყო განპირობებული და როგორ ასაბუთებდა დაწესებულება კვოტის გაზრდის აუცილებლობას.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ პირველ რიგში მოითხოვეს პროგრამაზე დასაქმების მაჩვენებლები, რომელთან დაკავშირებითაც კოლეჯმა წარმოადგინა სხვადასხვა ვაკანსიები, რომელზეც იყო მოთხოვნა კონკრეტულად ამ პროფესიულ სტუდენტებზე და ასევე, ექპერტებმა მოითხოვეს ბოლო ორი წლის სტატისტიკა პროფესიული სტუდენტების რეგისტრაციისა აღნიშნულ პროგრამაზე, ასევე, რამდენი ადგილი ჰქონდა კოლეჯს გამოცხადებული და დადგინდა, რომ მართლაც დიდი იყო მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რატომ გადაწყვიტა კოლეჯმა საწარმო პრაქტიკის დამატება.

ექსპერტის განმარტებით, საწარმო პრაქტიკის დამატება კოლეჯმა გადაწყვიტა იქედან გამომდინარე, რომ თვლიდა, კარგია, როდესაც პროფესიული სტუდენტები რეალურ გარემოში გადიან პრაქტიკას. კოლეჯს სრულად ჰქონდა C გარემო აღჭურვილი, სადაც ხდებოდა სტუდენტების მომზადება, მაგრამ დამატებით რეალური სამუშაო გარემო იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სტუდენტს მოეხდინა ადაპტირება სამუშაო გარემოზე, შესაბამისად უფრო მზად იქნებოდნენ სამომავლო დასაქმებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს მათი პროფესიონალიზმისა და კოლეგიალობისათვის და აღნიშნა, რომ პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ სტუდენტების მხრიდანაც იყო გარკვეული მოთხოვნები, რომ საწარმო პრაქტიკა დაემატებინა კოლეჯს, გარდა ამისა, საქართველოში დიდი იყო აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა და დღითიდღე იზრდებოდა აპლიკანტების მხრიდან ინტერესი, ასევე, იზრდებოდა კურსდამთავრებულებზეც მოთხოვნა სხვადასხვა კომპანიებიდან. დიდი დაინტერესების გამო დაწესებულების კარიერისა და პროფორიენტაციის მენეჯერის მხრიდან მოხდა ძალიან დიდი ძალისხმევის გაწევა, იმისათვის, რომ კომპანიებთან შეეხვედრებინა კურსდამთავრებულები, მომხდარიყო მათთან გასაუბრება, შემდეგ გამოსაცდელი ვადით აეყვანათ და საბოლოო ჯამში დაესაქმებინათ. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ ჩათვალა საჭიროდ, რომ მომხდარიყო საწარმო პრაქტიკაზე სტუდენტების გაშვება. რაც შეეხება კვოტის გაზრდას, დამსაქმებლებისგან იყო ძალიან დიდი მოთხოვნა, ასევე მოსახლეობის მხრიდან. მისი თქმით, გარდა გრძელვადიანი პროგრამებისა, კოლეჯი ახორციელებდა მოკლევადიან პროგრამებსაც, როგორც მომზადება-გადამზადების, ასევე სასერტიფიკატო კურსებს. სასერტიფიკატო კურსების ფარგლებში, რომელიც ძირითადად მერიის მიერ ფინანსდებოდა, პროფესიული სტუდენტები 1 კვირიან პრაქტიკას გადიოდნენ ისეთ ბრენდულ სასტუმროებში, როგორიც იყო: შერატონი, ბილტმორი და რედისონი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „მერმისისთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „მერმისს“(ს/კ: 209467646) დანართით განსაზღვრულ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120 -ით კოოპერაციული ფორმით განსახორციელებელ პროგრამაზე **(დანართი 1).**

საბჭოს წევრები ნინო ველთაური და დავით ჯინჭარაძე შემოუერთდნენ სხდომას.

მეორე საკითხი: შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველი საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შორენა ხუბუნაია მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოს“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 01 მარტის 240356 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ვახტანგ ბოგველიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი), ია გელენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი), ელისო საბაური- დარგის ექსპერტი (წევრი),დაგვევალა მიმდინარე წლის 5, 6 და 7 აპრილს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N142- ში, შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში.

შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოში“ ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და საოქმო გადაწყვეტილებას. კოლეჯში ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის ოქტომბრის თვეში, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში. 2023 წლის 19 და 31 მარტს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიუირების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2023 წლის 5, 6 და 7 აპრილს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს (6 პირი), პროფესიულ სტუდენტებს (17 პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 10 პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (7 პირი), დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად შესწავლილ იქნა

კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. რის მიხედვითაც ირკვევა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის ცალკეულ პოზიციებს არ ეთანხმება, თუმცა წარმოდგენილი აქვს პროცესების გაუმჯობესების გეგმა, სადაც გათვალისწინებულია ხარვეზად მიჩნეული ყველა გარემოება. ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-40 მუხლით განსაზღვრული დებულებებით, შესაბამისად:

- ხარვეზად მიჩნეული გარემოება, რომელიც ეხებოდა ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მოდულების (ცალკეული სწავლის შედეგების) სწავლებას, რომელიც ეხებოდა შპს ავერსი ფარმას ბაზაზე დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელების ბუნდოვანებას, შპს ავერსი ფარმას მიერ 2023 წლის 13 აპრილის №ა369 ოფიციალური კორესპოდენციით დადასტურებულია მათ ბაზაზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული კორესპოდენცია შექმნილია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ, ამ წერილით დასტურდება უკვე განხორციელებული სწავლის ფაქტი, რომელიც დადასტურებულია მესამე მხარის (შპს ავერსი ფარმა) მიერ. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია არგუმენტად, თუმცა დაწესებულებას ურჩევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დადასტურების, განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესების მართვისთვის გამოიყენოს პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობებზე აღრიცხვის, პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების წარმოების, სწავლებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათი რელევატურობის შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების დანერგვა და გამოყენება.
- გარემოებები, რომლებიც ეხებოდა პროფესიული სტუდენტების სტატუსს, მათ შორის ჩარიცხვისა (უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების არ არსებობა) და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესებს, რაც წამოადგენს საკანონმდებლო და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევას, რომელთა შეცვლა (კვალიფიკაცია მინიჭებულია 2022 წლის შემოდგომაზე) უკვე შეუძლებელია, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია ხარვეზად;
- გარემოებები, რომლებიც არ ეხებოდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მართვასთან დაკავშირებულ გარემოებებს (სტანდარტები - 3, 4; 5) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებულია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შესაბამისი სტანდარტები შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, იმ დათქმით, რომ დაწესებულება განსაზღვრავს რელევანტურ დროს, აქტივობათა შესასრულებლად.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა შესაბამისობის რეკომენდაციები:

ინდიკატორი 4.1.1.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. **ფაქტობრივი გარემოების შეფასება - არ არის შესრულებელი.** კოლეჯში არსებული მდგომარეობა ცალსახად მეტყველებს დაწესებულებაში არსებულ იერარქიულ დისბალანსზე, გაუმართავია თანამდებობრივი დაქვემდებარებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, ურთიერთწინააღმდეგობაშია ანგარიშვალდებულებებისა და ანგარიშგების საკითხები. სახეზეა დუბლირებული ფუნქციები და ფუნქცია-მოვალეობების არასწორი გადანაწილება, რაც ხელს ვერ შეუწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 4.1.1.3 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **ფაქტობრივი გარემოების შეფასება - არ არის შესრულებული,** დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები ასევე მოიცავს საქმისწარმოებასთან, სამართლებრივ საქმიანობასთან, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან, პროფესიულ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებასთან და პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

ინდიკატორი 4.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, კოლეჯი არ ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. **ფაქტობრივი გარემოების შეფასება - შესრულებულია.** პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პერსონალის საქმიანობის შეფასებისას სრულად და სწორად იხელმძღვანელოს პერსონალის შეფასების დანერგილი სისტემით, შედეგების ანალიზი განახორციელოს იმ ვადებში, რომ ისევ აქტუალური იყოს პრევენციული ან/და განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება, ხოლო შეფასების შედეგების მიხედვით უზრუნველყოს პერსონალის სტიმულირების ღონისძიებების ჩატარება.

ინდიკატორი 5.1.1.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით **ფაქტობრივი გარემოების შეფასება - შესრულებულია.** დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება კოლეჯსა და შპს „მასტერ სერვის გრუპს“ შორის 2022 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით და ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
II სტანდარტი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

ინდიკატორი 2.1.1.2 არ არის დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა დაწესებულებამ არ დაიცვა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები, რის მიხედვითაც საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხა ისეთი პროფესიული სტუდენტი, რომელსაც წინარე განათლება მიღებული ჰქონდა უცხოეთში და არ იყო წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის №33 ბრძანებით დამტკიცებული მარეგულირებელი აქტის - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ 28-ე მუხლის (პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია) 28.1.3. პუნქტის (უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტი) მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება კოლეჯს ცალსახად განსაზღვრული აქვს;

ინდიკატორი 2.4.2.1 არ არის დაკმაყოფილებული, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მექანიზმები არათანმიმდევრულია, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა არ არის შესაბამისობაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის ფაქტებს. კოლეჯში დასაზუსტებელია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო, კერძოდ კოლეჯის დირექტორი ქმნის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ კომისიას, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს კვალიფიკაციას ანიჭებს დირექტორი, რაც ურთიერთ წინააღმდეგობაშია, ასევე, კომისიის საოქმო გადაწყვეტილება დამტკიცებას არ საჭიროებს, ხოლო კომისია არ ადგენს სამსახურებრივ ბარათს. არ არის ცალსახად ჩანაწერი, რომ თუ დირექტორი ანიჭებს კვალიფიკაციას პროფესიულ სტუდენტებს, მაშინ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის ძირითადი ვალდებულება უნდა იყოს პროფესიულ სტუდენტთა მიერ ათვისებული კრედიტების ოდენობის შესწავლა, საკვალიფიკაციო გამოცდის (თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი) ჩატარება, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების განსაზღვრა და შესაბამისი პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის კოლეჯის დირექტორთან შუამდგომლობა. დაწესებულება უფლებამოსილია აირჩიოს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების რელევანტური, გამჭვირვალე, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ცალსახა პროცედურა. რაც შეეხება კოლეჯის მიერ ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსს, კოლეჯმა მხოლოდ თეორიულ კომპონენტში ჩაატარა საკვალიფიკაციო გამოცდა და შედეგების შესაბამისად მიანიჭა კვალიფიკაცია, მაშინ როდესაც საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის სავალდებულოდ განსაზღვრავს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას, ხოლო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების“ მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის მეორე ნაწილი განმარტავს საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსს, რის მიხედვითაც „საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.“

რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

III სტანდარტი

სტანდარტის 3.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან: ინდიკატორი 3.1.1.1, 3.1.1.4 და 3.1.1.5 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დაწესებულების შიდა რეგულაციებით არასათანადოდაა უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, დაწესებულებებსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არ არის დაცული პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, დაწესებულებაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში არ არის ჩართული პროფესიული სტუდენტები მათი ინტერესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ:

1.მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში არ არის ჩართული პროფესიული სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლება დაწესებულებას თავად აქვს გაწერილი შიდა მარეგულირებელ აქტში (აღნიშნული ვალდებულება არსებობს მხოლოდ მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, სხვა შემთხვევის გამო პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის ვალდებულება არ არის განსაზღვრული). კოლეჯში არ არის დარეგულირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას პროფესიული სტუდენტის ჩართულობის უზრუნველყოფის პროცედურები, თუ რა გზით მოხდება პროფესიული სტუდენტის მოცემული უფლების რეალიზება (მაგალითად, 1. პროფესიული სტუდენტი ეცნობა შედგენილ გეგმას და ადასტურებს ხელმოწერით; 2. პროფესიული სტუდენტი მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, სადაც აფიქსირებს მის საჭიროებებს და დასრულებულ გეგმას აწერს ხელს ან უარს აცხადებს ხელმოწერაზე იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა მიღწეული შეთანხმება დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის), ამასთან შესაბამისი მტკიცებულებებით არ დასტურდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის ფაქტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში პროფესიული სტუდენტის ჩართულობა და მისი ინტერესების გათვალისწინების სავალდებულოობას კოლეჯს ავალდებულებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნები;

2. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა უფლებები არ არის შესაბამისობაში პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, კერძოდ არ არის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ისეთი უფლებები, როგორიცაა: საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით; საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში; პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით; პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით; პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 30-ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს, რითაც არ არის განსაზღვრული პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები, მათ შორის: მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის

უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, განახორციელოს მისთვის პროფესიული განათლების შესახებ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები. დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტსა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, პროფესიულ სტუდენტთა უფლებების ნაწილში განსხვავებული ჩანაწერებია და კანონმდებლობის მოთხოვნებს არც ერთი დოკუმენტი არ ფარავს სრულად;

3.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დაწესებულების მიერ განხორციელებული პროცედურა, რომელიც ეხება მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების აღიარებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან, არ არის ცალსახა ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ აღიარება გაფორმდა დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითა მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა, დაწესებულების მიდგომა არათანმიმდევრული და ბუნდოვანია იმ შემთხვევაშიც, როცა ერთიდაიგივე მდგომარეობისას რამდენიმე მოდულის ფარგლებში ჩანიშნა შეფასება, ხოლო ერთი მოდულის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი დაუშვა სასწავლო პროცესზე. დაწესებულების მიერ აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა უნდა იყოს ცალსახად განსაზღვრული და არ უნდა იწვევდეს ბუნდოვანებას;

4.ბუნდოვანია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მე-40 მუხლით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით, თუ კოლეჯის დირექტორი ბრძანებით ქმნის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ კომისიას, გაუგებარია პროფესიულ სტუდენტებს კვალიფიკაცია რატომ ენიჭებათ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. ამასთან, შიდა მარეგულირებელ აქტში არსებული ჩანაწერი - „კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად მოხსენებითი ბარათის სახით. კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილია კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის მოხსენებითი ბარათი“, არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობის ნორმებთან (საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება - №414) კოლეგიური ორგანოს საოქმო გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას ინდივიდუალური - ადმინისტრაციული აქტით, ასევე კოლეგიური ორგანო არ ადგენს მოხსენებით ბარათს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯში დასაზუსტებელია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო და პროცედურები. არ არის

ცალსახად ჩანაწერი, რომ თუ დირექტორი ანიჭებს კვალიფიკაციას პროფესიულ სტუდენტებს, მაშინ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის ძირითადი ვალდებულება უნდა იყოს პროფესიულ სტუდენტთა მიერ ათვისებული კრედიტების ოდენობის შესწავლა, შესაბამის შემთხვევებში საკვალიფიკაციო გამოცდის (თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი) ჩატარება, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების განსაზღვრა და შესაბამისი პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის კოლეჯის დირექტორთან შუამდგომლობა. დაწესებულება უფლებამოსილია აირჩიოს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების რელევანტური, გამჭვირვალე, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ცალსახა პროცედურა.

სტანდარტის 3.1 კომპონენტის „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასების მიზნით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ინდიკატორების - 3.1.1.1, 3.1.1.4 და 3.1.1.5 მოთხოვნათა შესრულების შესაბამისობის გეგმა, რაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ იმ დათქმით, რომ დაწესებულება განსაზღვრავს რელევანტურ დროს, აქტივობათა შესასრულებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი 2 კვირა არ არის საკმარისი დრო სხვა სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების პარალელურად აღნიშნულ აქტივობათა სრულფასოვნად შესრულებისთვის.
სტანდარტის 3.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ინდიკატორი 3.2.1.4 არ არის სრულად დაკმაყოფილებული, დაწესებულება არასათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის პროცედურული მექანიზმები არ არსებობს, თუმცა კოლეჯში არსებული პრაქტიკის შესწავლისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯი ხელს უწყობს მათ ინიციატივებსა და სურვილებს და შემლებისდაგვარად რეაგირებს საჭიროებებზე. მაგალითის სახით მხოლოდ დასახელებულ იქნა კოლეჯის გათბობის სისტემის მონტაჟი, ხოლო სტუდენტთა სურვილებზე კოლეჯის წარმომადგენელთათვის ინფორმაციის მიწოდების წყაროდ დასახელდა პირდაპირი კომუნიკაცია ან ანონიმური გამოკითხვები (თუმცა ამ გზით მიღებული ინფორმაციის დამუშავების მტკიცებულებები არ არსებობს). ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე სტუდენტური აქტივობების/ღონისძიებების ან სხვათა შესახებ თუ ჰქონიათ სურვილი ან ინიციატივა, ყველა სტუდენტის პასუხი უარყოფითი იყო. ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ პროფესიულ სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ასეთი ინიციატივების გამოჩენის შესაძლებლობის შესახებ. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ იმ დათქმით, რომ დაწესებულება განსაზღვრავს რელევანტურ დროს, აქტივობათა შესასრულებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი 2 კვირა არ არის საკმარისი დრო სხვა სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების პარალელურად აღნიშნულ აქტივობათა სრულფასოვნად შესრულებისთვის.

IV სტანდარტი
სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ინდიკატორი 4.1.1.1 არ არის დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდ არაა განსაზღვრული. სახეზეა იერარქიული დისბალანსი, დუბლირებული ფუნქციები და ფუნქცია-მოვალეობების არასწორი გადანაწილება. გაუმართავია თანამდებობრივი დაქვემდებარებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, ურთიერთწინააღმდეგობაშია ანგარიშვალდებულებებისა და ანგარიშგების საკითხები. ინდიკატორი 4.1.1.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი

საქმიანობის განხორციელებას, რაც გამოწვეულია ინდიკატორი 4.1.1.1-ში აღწერილი გარემოებებით. ინდიკატორი 4.1.1.3 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები ასევე მოიცავს საქმის წარმოებასთან, სამართლებრივ საქმიანობასთან, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან, პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებასთან და პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებულ მოვალეობებს. ინდიკატორი 4.1.2.1 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები საჭიროებს მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებთან, მათ შორის შრომის შინაგანაწესთან შესაბამისობაში მოყვანას. ინდიკატორი 4.1.2.2 და 4.1.2.3 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები არასათანადოდ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, ვინაიდან ა) დაწესებულების მიერ არასათანადოდაა განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ბ) დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ უდასტურდება პერსონალის ნაწილს.

სტანდარტის 4.1 კომპონენტის „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასების მიზნით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ინდიკატორების - 4.1.1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.1.2.2 და 4.1.2.3 მოთხოვნათა შესრულების შესაბამისობის გეგმა, რაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ იმ დათქმით, რომ დაწესებულება განსაზღვრავს რელევანტურ დროს, აქტივობათა შესასრულებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი 2 კვირა არ არის საკმარისი დრო სხვა სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების პარალელურად აღნიშნულ აქტივობათა სრულფასოვნად შესრულებისთვის.

V სტანდარტი

სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ინდიკატორი 5.1.1.1 არ არის სრულად დაკმაყოფილებული, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუმცა დაწესებულების მიერ ფართით სარგებლობა არ არის უზრუნველყოფილი მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ინდიკატორი 5.1.2.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში არასათანადოდ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი სისტემატიურად არ არის კოლეჯში და მოდის მის მიერ ჩასატარებელი ლექციების განრიგის მიხედვით, ვინაიდან არის კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებაში მოწესრიგებას საჭიროებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის სივრცე (სამედიცინო კაბინეტი), გასაახლებელია სამედიცინო საშუალებები, უტილიზაციას საჭიროებს ვადაგასული სამედიცინო საშუალებები, დაწესებულებაში არ არის დარეგულირებული კვალიფიციური სამედიცინო პირის მომსახურება უწყვეტად სწავლისა და სამუშაო დროებში. ინდიკატორი 5.2.2.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა მისი გამოყენება არასისტემურია. დაწესებულების ერთიანი საქმისწარმოების სისტემა ვერ უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სანდოობას და სრულად არ ასახავს ყველა კატეგორიის დოკუმენტებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემაში - “eflow”.

სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტის „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასების მიზნით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ინდიკატორების 5.1.1.1, 5.1.2.2 და 5.2.2.2 მოთხოვნათა შესრულების შესაბამისობის გეგმა, რაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ იმ დათქმით, რომ დაწესებულება განსაზღვრავს რელევანტურ დროს, აქტივობათა შესასრულებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის

მიხედვით გაწერილი 2 კვირა არ არის საკმარისი დრო სხვა სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების პარალელურად აღნიშნულ აქტივობათა სრულფასოვნად შესრულებისთვის.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა რეკომენდებულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების მართვის დოკუმენტირება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას, როგორც ბიბლიოთეკასა და სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ისე ადმინისტრაციის ოთახებში. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. კოლეჯი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა განისაზღვრება რამდენიმე კომპონენტის გათვალისწინებით: A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა თეორიული სწავლების აუდიტორიაში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; B გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროგრამისთვის და გაანგარიშებულია სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილია სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი სრული კომპლექტაციით; კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მუშაობა ინდივიდუალურ კომპიუტერთან; C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაანგარიშებულია შემდეგი პრინციპით: ყოველ

პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკის ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეცადინეობაზე მუშაობა შეუფერხებლად. დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კოლეჯს შეუძლია 40 პროფესიული სტუდენტის მიღება ორ ცვლაში სწავლების უფლებით ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია, განისაზღვროს 40 სტუდენტი. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი/აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები საკმარისი და შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 20 პროფესიულ მასწავლებელთან. აქედან 6 პირი ჩართულია ზოგადი მოდულის განხორციელებაში, ხოლო პროფესიული და არჩევითი მოდულის განმახორციელებელთა რაოდენობა შეადგენს 14-ს.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს,

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროგრამის განმახორციელებელი, ადმინისტრაციული პერსონალის და ზოგ შემთხვევაში დამსაქმებელთა გამოკითხვებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ფარმაცია (სააფთიაქო) ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ავერსი ფარმასთან“. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ პრაქტიკის ობიექტზე ამ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები ჯერ არ გადიან სწავლებას, კოლეჯს ერთი წელი არ ჰქონია მიღება, შესაბამისად, მათ ბაზაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 341-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო განხორციელებული შუალედური შეფასება, ვინაიდან ჯერ არ იყო გასული კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა შეფასებით, მოცემული პროგრამის განხორციელება არ მოდის წინააღმდეგობაში კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, რადგან კოლეჯის ყველა სტრატეგიული მიზანი იმგვარადაა ფორმულირებული, რომ ვერ იქნება წინააღმდეგობაში ვერც ერთ პროგრამასთან, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია მდგომარეობს იმაში, რომ ეს შეფასება

დაწესებულებამ თავად უნდა გააკეთოს პროგრამის დამატებისას ან შემდგომი ანალიზის დროს. მოცემული პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს რესურსები აქვს, თუმცა ეს შეფასება დაწესებულებამ თავად უნდა გააკეთოს პროგრამის დამატებისას ან შემდგომი ანალიზის დროს, მათ შორის რაოდენობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - საექთნო განათლება, კოლეჯს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასწავლო გარემო: A სასწავლო გარემოში არის 10 ორ ადგილიანი მერხი, სულ 20 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (სულ 7 აუდიტორია, სულ 140 ადგილი, გამოიყენება ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის (საექთნო განათლება და (ფარმაცია სააფთიაქო)); B სასწავლო გარემოში (აუდიტორია №4, 22,34მ 2) არის 10 ორ ადგილიანი მერხი, სულ 20 ადგილი და 20 კომპლექტი კომპიუტერი/ლეპტოპი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 მაგიდა, სკამი და 1 კომპლექტი კომპიუტერი/ლეპტოპი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, გამოიყენება ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის (საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო)); AC სასწავლო გარემოში (აუდიტორია №11, 66,42მ 2) არის 10 ორ ადგილიანი მერხი, და 2 ცალი 20 ადგილიანი ლაბორატორიული მაგიდა, სულ 40 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. კოლეჯი კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით თანამშრომლობს შემდეგ ობიექტებთან: სს „ევექსის ჰოსპიტლები“, შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“. პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 24 პროფესიულ მასწავლებელთან და 34 კლინიკური მოდულის განმახორციელებელ პირთან. ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კოლეჯს შეუძლია 100 პროფესიული სტუდენტის მიღება საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია, განისაზღვროს 100 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი/აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები საკმარისი და შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამასთან, ამავე დებულების 32.2-ე მუხლის მიხედვით, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

ექპერტის განცხადებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ნაკლებადაა გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა მიღებული განათლების აღიარება და შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ იმ დათქმით, რომ დაწესებულება განსაზღვრავს რელევანტურ დროს, აქტივობათა შესასრულებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი 2 კვირა არ არის საკმარისი დრო სხვა სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების პარალელურად აღნიშნულ აქტივობათა სრულფასოვნად შესრულებისთვის. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებისას, ასევე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების შესწავლისას დადგინდა, რომ დაწესებულება მინიმალურად ცვლის შეფასების ინსტრუმენტებს. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 341

მუხლი, რომელიც განსაზღვრავს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხებს, არ სრულდება პრაქტიკაში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

ექსპერტის განცხადებით, საყურადღებოა პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მე-40 მუხლით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით, თუ კოლეჯის დირექტორი ბრძანებით ქმნის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ კომისიას, გაუგებარია პროფესიულ სტუდენტებს კვალიფიკაცია რატომ ენიჭებათ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. რაც შეეხება კოლეჯის მიერ ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსს, კოლეჯმა მხოლოდ თეორიულ კომპონენტში ჩაატარა საკვალიფიკაციო გამოცდა და შედეგების შესაბამისად მიანიჭა კვალიფიკაცია, მაშინ როდესაც საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის სავალდებულოდ განსაზღვრავს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, ხოლო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების“ მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის მეორე ნაწილი განმარტავს საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსს, რის მიხედვითაც „საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ როგორი რეგულაციით სარგებლობდა დაწესებულება.

ექსპერტის განცხადებით, რეგულაცია არსებობდა ზოგადი სახით, არ აკონკრეტებდა პროცედურულ საკითხებს. ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ დაარეგულიროს ინსტრუმენტის შემუშავების შინაარსობრივი კომპონენტის გათვალისწინების ვალიდაციის, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის, განმეორებითი შეფასების და ასევე, აპელაციის პროცედურები. მისი თქმით, შეფასების ნაწილში კოლეჯს ჰქონდა აღნიშნული რეგულაცია, თუმცა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები უფრო დეტალურად უნდა ყოფილიყო აღწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პრაქტიკა.

ექსპერტის განცხადებით, სხვა მოდულების შემთხვევაში დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული პრაქტიკა და მტკიცებულებებიც წარმოადგინეს, თუმცა საკვალიფიკაციო გამოცდის ნაწილში არ მოიპოვებოდა მსგავსი გამოცდილება.

საბჭოს წევრმა ტიტე ბოლქვაძემ მიმართა ექსპერტს და აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი დასკვნიდან გამომდინარე, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აიტი მენეჯერს საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენა, რომ საკვალიფიკაციო კომისიის წევრი იყო.

ექსპერტის განმარტებით, მათ გაუჩნდათ კითხვა, თუ რა მოვალეობას ასრულებდა აიტი მენეჯერი კომისიის წევრად. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მან არ იცოდა მისი, როგორც საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის წევრის ფუნქცია-მოვალეობები და როლი და საერთოდ არ იღებდა მონაწილეობას მსგავს კომისიებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, რომ გაეზიარებინა მისი მოსაზრებები საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსის შესახებ.

დარგის ექსპერტის განმარტებით, თეორიული გამოცდა შინაარსობრივად არ იყო კონკრეტულად გაწერილი და საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული ნაწილისთვის არანაირი ინსტრუმენტი არ იყო შემუშავებული. მისი თქმით, ექსპერტებმა გადახედეს საკვალიფიკაციო გამოცდის დოკუმენტაციას, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებაში საკვალიფიკაციო გამოცდა მხოლოდ თეორიულ ნაწილში ხორციელდებოდა და ასევე, კოლეჯში არსებობდა მხოლოდ კლინიკური მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების მტკიცებულებები. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ კოლეჯმა კლინიკაში სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის და მათ მიერ ჩატარებული სამუშაოების და შეფასებების დადასტურების მიზნით, აწარმოონ დღიურები და დაარეგულიროს პრაქტიკის ობიექტთან აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრმა ტიტე ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში დაფიქსირებული იყო, რომ ექსპერტებს ვიზიტის ბოლოს აღნიშნული მიგნებები არ გაუცნიათ დაწესებულებისათვის.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს აცნობდა დაწესებულების წარმომადგენლებს მიგნებებს, ხოლო ვიზიტის ბოლოს მათ გააკეთეს შეჯამება, რასაც ცენტრის წარმომადგენელიც დაადასტურებდა, რომელიც ესწრებოდა ვიზიტს ადგილზე. გარდა ამისა, მათ ხაზი გაუსვეს ფაქტს, რომ სწორედ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების და მათი უკუკავშირის საფუძველზე მუშაობდა კოლეჯი შესაბამისობის გეგმაზე, რაც კონტრარგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება დაწესებულებამ მაშინვე დაიწყო. დოკუმენტების სისრულეში მოსაყვანად კოლეჯმა მიუთითა ორი კვირა, თუმცა აღნიშნული საბუთების მოწესრიგების პროცედურა 5 აპრილიდან ჰქონდა კოლეჯს დაწყებული და ადმინისტრაცია მუშაობდა რეკომენდაციების შესრულებაზე ვიზიტის მსვლელობისას, რომელიც თითქმის გამოსწორებული იქნა დასკვნის პროექტის დროისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენლებს და დამსწრე საზოგადოებას, რომ ავტორიზაციის დებულების შესაბამისად ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ. ასე რომ არ იყო საჭირო ასე მოკლე ვადაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება.

დაწესებულების დირექტორის თქმით, თუ კოლეჯს მიეცემოდა ფუნქციონირების საშუალება, აუცილებლად გამოასწორებდა ხარვეზებს და გადახედავდა კიდევ ერთხელ დოკუმენტაციას. თითოეულ სტანდარტს თუ გავყვებოდით, პირველი სტანდარტში დაფიქსირებული რეკომენდაციები უკვე შესაბამისობაში იყო, მეორე სტანდარტთან მიმართებაში პრობლემა გაჩნდა საექთნო განათლებაზე, სადაც მითითებული იყო საკვალიფიკაციო გამოცდა, ხოლო მესამე სტანდარტთან მიმართებაში ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც იყო მოცემული, შესაბამისობის ცხრილში კოლეჯს ჰქონდა მითითებული, რომ მეტწილად შესრულებული იყო.

რაც შეეხება დაფინანსებას, პანდემიის მიწურულს კოლეჯმა ვერ მოასწრო დაფინანსების მოპოვება, რადგან მალევე ჰქონდათ მონიტორინგის პროცესი გასავლელი და რეავტორიზაცია, შესაბამისად, დრო აღარ დარჩა კოლეჯს, თუმცა ამის დიდი სურვილი იყო. რაც შეეხება საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით, აღნიშნულზე ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი ისაუბრებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომდგენელს დაეზუსტებინა, ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს, ვინაიდან მათ უკვე დაიწყეს ამ მიმართულებით მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა მუშაობის ბოლო დღეს უნდა მომხდარიყო შემაჯამებელი შეხვედრა, ადმინისტრაციის თანამშრომლები ელოდებოდა უკუკავშირს, რომ შემაჯამებელ დასკვნას წარმოგვიდგენდნენ მიგნებებზე, მაგრამ ასე არ მოხდა. რა თქმა უნდა, დაწესებულება იზიარებდა გაცემულ რეკომენდაციებს და აუცილებლად იზრუნებდა მათ გამოსწორებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების ხარისხის მენეჯერს ესაუბრა საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის მენეჯერის განცხადებით, არსებული დოკუმენტაცია ნამდვილად იყო შეუსაბამო და აღნიშნულთან დაკავშირებით მიდიოდა აქტიური მუშაობა. თეორიული და პრაქტიკული გამოცდის კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით მთავრობის 416 დადგენილებასთან მიმართებაში, აღნიშნა, რომ ამ დადგენილების გარდამავალი დებულებები, რომელიც ითვალისწინებდა 2022 წლის და შემდგომი მიღების ფარგლებში შუალედური შეფასების ჩატარების ვალდებულებას და რომელიც დღეისათვის შეიცვალა და 2024 წელს ჩარიცხული სტუდენტებისთვის იყო ეს შუალედური შეფასება სავალდებულო, აქედან გამომდინარე, შუალედური შეფასება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შემთხვევაში წინაპირობა ვერ იქნებოდა, რადგან საექთნო განათლების სტუდენტები 2019 წელს იყვნენ მიღებულნი და სწავლა დაასრულეს სექტემბრის ბოლოს, შესაბამისად, ამ დროისთვის მიენიჭათ კვალიფიკაცია, ხოლო დადგენილება 9 აგვისტოს იყო მიღებული, დაახლოებით 3 თვე ჰქონდა კოლეჯს, რომ შესაბამისობაში მოეყვანა შიდა დოკუმენტაცია. სექტემბრისთვის მარეგულირებელ დოკუმენტში კოლეჯმა შეიტანა ცვლილება. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა კვალიფიკაციის მისანიჭებლად, შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება საექთნო განათლების პროგრამაზე. შიდა რეგულაციით გაწერილი იყო საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი მხარე და აღნიშნული იყო, რომ ეს იყო თეორიული გამოცდა. მისი თქმით, სხვა დაწესებულებებთან კომუნიკაციის საფუძველზე, კოლეჯების უმრავლესობამ განახორციელა აღნიშნული თეორიული გამოცდა. პროფესიული სტუდენტები, რომლებიც 2020 წელს მიღებულნი იყვნენ და ასრულებდნენ კურსს, მათთვის შეტანილ იქნა ცვლილებები და გათვალისწინებულ იქნა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტები. რაც შეეხება გეგმებთან დაკავშირებით, სტუდენტთა ჩართულობაზე წერილობითი დოკუმენტაცია არ ჰქონდა დაწესებულებას, თუმცა დასკვნის პროექტის პასუხის წარმოდგენის შემდგომ მოხდა სტუდენტების დაბარება და დაფიქსირდა, რომ ჩართულები იყვნენ პროცესში, რაც არ იყო წერილობით დადასტურებული. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტის შემოწმებას, კოლეჯს ჰქონდა შემუშავებული შიდა დოკუმენტაცია კლინიკური სწავლების, პრაქტიკული სწავლების და განხორციელების წესი, რაც წარმოდგენილი იყო ასევე ექსპერტებთან. თუ აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილებები იქნებოდა შესატანი, რა თქმა უნდა შეიტანდა კოლეჯი, თუმცა 416 დადგენილებასთან მიმართებაში კოლეჯს ჰქონდა იგივე კრიტერიუმები განხორციელების წესში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით ვერ დაეთანხმებოდა დაწესებულების ხარისხის მენეჯერს, რადგან მისი თქმით, მთავრობის 416 დადგენილების შემოსვლამდეც, საკვალიფიკაციო გამოცდის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ პროფესიულ სტუდენტს აღნიშნულ გამოცდაზე უნდა დაედასტურებინა სწავლის შედეგები, რომელსაც მან მიაღწია სწავლების განმავლობაში და ასეთი შედეგები იყო როგორც თეორიული, ასე პრაქტიკული მიმართულების. აღნიშნული საკვალიფიკაციო გამოცდა იყო სწავლების ხარისხის დამადასტურებელი ყველაზე მნიშნველოვანი მტკიცებულება. ზოგადად, პროფესიული განათლების არსი სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ არა მარტო თეორიული ცოდნა შეიძინოს სტუდენტმა და ამის საფუძველზე მიენიჭოს კვალიფიკაცია, არამედ მისი პრაქტიკული უნარებიც უნდა შეიძინოს, შემდეგ შემოწმდეს და დადასტურდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ზოგადად, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება პრობლემურ საკითხს წარმოადგენს და განაცხადა, რომ საჭიროდ მიაჩნია, ჩაინიშნოს თემატური მონიტორინგი და ცენტრის მიერ საექთნო განათლების პროგრამების ყველა განმახორციელებლისგან გამოთხოვილ იქნას საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული დოკუმენტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ დადგინდეს, თუ როგორ ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდები საექთნო განათლებაში სხვადასხვა დაწესებულებებში, მოხდეს ანალიზი, საუკეთესო გამოცდილების გამოვლენა და გაზიარება, გარდა ამისა, დამატებით გამოთხოვილ იქნას საექთნო განათლების პროგრამის ყველა განმახორციელებლის მიერ სხვადასხვა კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებები, რათა გაანალიზდეს კლინიკური მოდულების განმახორციელებლების რეალური პოტენციალი აღნიშნული პროგრამის მოდულების განხორციელების მიმართულებით.

დაწესებულების ხარისხის მენეჯერის განცხადებით, ყველა დაწესებულებასთან, ვინც ახორციელებდა საექთნო განათლების პროგრამას, არ ჰქონიათ კომუნიკაცია. კოლეჯებთან ჰქონდათ ზეპირი კომუნიკაცია, სადაც ერთმანეთს უზიარებდნენ სიახლეებს. მისი განცხადებით, სხვა კოლეჯების მიერ განხორციელებული შეფასებისა და სწავლის მეთოდების შესახებ პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის საკითხი და იქვე გააკეთა განმარტება, თუ რატომ მიიღო საბჭომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილება, რომელიც ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის, ურთიერთშეთანხმებისა და განხილვის საფუძველზე იყო მიღებული. საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ექსპერტებმა დაწესებულებას ფაქტიურად კიდევ ერთი შანსი მისცეს, რათა შეენარჩუნებინა ავტორიზაცია და ამ შემთხვევაში საბჭოც ეთანხმებოდა, რომ კოლეჯს გაეგრძელებინა ფუნქციონირება, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებას, თუმცა არსებული ხარვეზების გამო, კოლეჯში ვერ განხორციელდებოდა „საექთნო საქმის“ პროფესიული პროგრამა, ხარვეზები, რომელიც დაფიქსირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამაში, არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მისი განხორციელება მოხდებოდა ხარისხიანად. ამასთან, საბჭო ხედავდა გარკვეულ პოტენციალს დაწესებულებაში და დაწესებულებას ეძლევა შესაძლებლობა, რომ განვითარდეს და გამოასწოროს ხარვეზები, შეასრულოს რეკომენდაციები და როდესაც მზად იქნებოდა, ხელმეორედ წარმოადგინოს პროგრამა ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად თვლის, ჩაინიშნოს მონიტორინგი პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტში სრულად, რაც შეეხება მეორე სტანდარტს,

დასკვნიდან გამომდინარე საბჭომ აღნიშნა, რომ პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პრაქტიკული კომპონენტი არ ხორციელდებოდა სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, ასევე, რეკომენდებულია, პარტნიორი დაწესებულების ბაზაზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დადასტურების, განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესების მართვისთვის კოლეჯმა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობებზე აღრიცხვის, პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების წარმოების, სწავლებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათი რელევანტურობის შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების დანერგვა და გამოყენება, ასევე, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, თუმცა, რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სუბიექტის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის 5.5 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულის საფუძველზე საბჭომ მიიჩნია საჭიროდ, რომ ჩაინიშნოს მონიტორინგი „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროგრამის 2.4 კომპონენტში.
ექსპერტმაც დაადასტურა პროფესიული საგანმანათლებლო „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროგრამის 2.4 კომპონენტში მონიტორინგის ჩანიშნვის აუცილებლობა.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, გათვალისწინებულ უნდა იქნას საექთნო განათლების პროგრამაზე 2020 წლის ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა (18 სტუდენტი) უფლებები და ინტერესები, და ის ფაქტორი, რომ მათ დასრულებული აქვთ პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული და ჩასაბარებელი აქვთ საკვალიფიკაციო გამოცდა, გადაწყვეტილების ამოქმედების ვადად განისაზღვროს კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი, კერძოდ, 2023 წლის 19 ივლისი. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება აღნიშნული ვადის გასვლამდე მოახერხებს საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებას და ჩატარებას, ცენტრმა უზრუნველყოს გამოცდის ჩატარების მონიტორინგი, რათა საბჭო დარწმუნდეს, რომ გამოცდის ჩატარების პროცედურა და შინაარსი "საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით განსაზღვრული (საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება) ნორმების შესაბამისია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოსათვის “ ავტორიზაციის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ (ს/კ: 404935273) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 19 ივლისი.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოში“ პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტში სრულად და მეორე სტანდარტის 2.4 კომპონენტში პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)“, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 18 დეკემბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს კოლეჯიდან დოკუმენტების გამოთხოვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩხარტიშვილი ხათუნა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	კოოპერაციული - 120 პროფესიული სტუდენტი დუალური - 27 პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	კოოპერაციული - 86 კრედიტი დუალური - 80 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	კოოპერაციული - 101 კრედიტი დუალური - 95 კრედიტი

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, აკაკი წერეთლის გამზირი No142
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153